საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 2 23 0000269465

07/03/2023

მოქალაქე ლიკა თოთლაძეს
ელ.ფოსტა: foi+request-1413-0c0ad349@askgov.ge

ქალბატონო ლიკა,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარმოდგენილ თქვენს განცხადებასთან (სამინისტროში რეგისტრაციის N194406; 20.02.2023) დაკავშირებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10, 28-ე, 37-ე, მე-40 მუხლების გათვალისწინებით გაცნობებთ, რომ განათლებისა და დასაქმების მიღმა მყოფი ახალგაზრდების (ე.წ. NEET ჯგუფი) შესახებ სტატისტიკური მონაცემების წარმოება ყოველწლიურად ხორციელდება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ, შესაბამისად, NEET's ჯგუფებთან დაკავშირებული პოლიტიკისა და სერვისების შემუშავების პროცესში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტო (შემდგომ სააგენტო) ხელმძღვანელობს ამ საქსტატის მონაცემებით, რომლებიც მეტწილად წარმოადგენს სხვადასხვა საჯარო უწყებიდან მიღებული მონაცემების შეჯერებულ, გაერთიანებულ მონაცემს. ამ მონაცემების საფუძველზე სააგენტო მუშაობს პოტენციური NEETs ჯგუფების შემცირებაზე ორიენტირებულ სერვისებზე. სააგენტოს მიზანია შექმნას და განავითაროს პროფესიული განათლების ისეთი სერვისები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდებისა და სხვადასხვა საჭიროებების მქონე ჯგუფების ჩართულობას განათლებასა და დასაქმებაში და შესაბამისად, NEETS ჯგუფების რაოდენობის შემცირებას. აღნიშნულისათვის სააგენტო ახორციელებს სხვადასხვა მხარდამჭერ სერვისებსა და ინტერვენციებს.

- NEET's ჯგუფების იდენტიფიცირების ინკლუზიური მიდგომები - 2023 წელს უნარების სააგენტოს გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით დაგეგმილი აქვს საპილოტე პროექტის განხორციელება NEETs ჯგუფების იდენტიფიცირების მიზნით. აღნიშნული პროექტი გულისხმობს სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების მობილიზებას და ქმედითი სამოქმედო გეგმის შემუშავებას NEETs ჯგუფების იდენტიფიცირების მიზნით. აღნიშნული პროექტის მოსამზადებელი სამუშაოები სააგენტოს უკვე დაწყებული აქვს - შემუშავებულია NEET's ჯგუფების იდენტიფიცირების მექანიზმების საერთაშორისო

პრაქტიკა და მოდელები, რომელთა პილოტირებაც დაგეგმილია აღნიშნული პროექტის ფარგლებში. მთლიანობაში, პროექტი პასუხობს საკვანძო კითხვას, როგორ შეიძლება სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ერთობლივი მუშაობით NEETs ჯგუფების იდენტიფიცირება, მათი საჭიროებების გამოვლენა და ერთობლივი აქტივობების დაგეგმვა;

- არაფორმალური განათლების/ექსტრაკურიკულური აქტივობები - 2022 წელს პროფესიული უნარების სააგენტომ არაფორმალური განათლების განვითარების ხელშეწყობის, სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვებისა და თემში მცხოვრები ახალგაზრდების გააქტიურების მიზნით დაიწყო საპილოტე პროექტი ექსტრაკურიკულური აქტივობების განვითარების ხელშეწყობის მიზნით. სამი პროექტი ხორციელდებოდა შიდა ქართლის კოლეჯებში, მათ შორის, კოლეჯი „განთიადი“, „კასპის კოლეჯი“ და კოლეჯი „ამაგი“;
- საორიენტაციო სერვისი შშმ და სსსმ პირებისთვის - უნარების სააგენტო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად იწყებს კარიერის მართვის სპეციფიკური სერვისის პილოტირებას პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში - საორიენტაციო სერვისს შშმ და სსსმ პირებისთვის. აღნიშნული სერვისის საშუალებით, შშმ და სსსმ პირებს შესაძლებლობა ექნებათ მათთვის განკუთვნილი ადაპტირებული ელექტრონული პლატფორმის საშუალებით დარეგისტრირდნენ და წლის ნებისმიერ დროს, მრავალფეროვანი აქტივობებით მიიღონ დეტალური ინფორმაცია პროფესიული განათლების შესახებ - ესტუმრონ კოლეჯს, დამსაქმებელ ორგანიზაციებს, შეხვდნენ სფეროს ექსპერტებს, კურსდამთავრებულებს, მასწავლებლებს, დაესწრონ საგაკვეთილო პროცესს, მოსინჯონ საკუთარი ძალები სხვადასხვა პროფესიის პრაქტიკულ სამუშაოებში და ა.შ. საორიენტაციო სერვისის ამოქმედება მნიშვენლოვანია, რადგან საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, შშმ და სსსმ პირები NEETS ჯგუფების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ;
- სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამა - საქსტატის მონაცემებზე დაფუძნებით NEETs ჯგუფების გარკვეულ ნაწილს ეთნიკური უმცირესობები წარმოადგენენ, ვინაიდან მათ აქვთ ენობრივი ბარიერები, რაც ხელს უშლით სწავლების პროცესში ჩართვასა და დასაქმებაში. უნარების სააგენტომ შეიმუშავა სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის ახალი მარეგულირებელი ჩარჩო. აღნიშნული პროგრამა იქნება ცალკე მდგომი პროგრამა, რაც შესაძლებლობას მისცემს ეთნიკურ უმცირესობებს და სახელმწიფო ენის შესწავლის მსურველ სხვა პირებს ჩააბარონ პროგრამაზე და ისწავლონ ქართული ენა, რაც გახსნის მათ შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებს;
- კარიერის მართვის (პროფესიული ორიენტაციის) სერვისები - საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, განათლებისა და დასაქმების მიღმა დარჩენილი ახალგაზრდების გააქტიურების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მექანიზმს კარიერის მართვის სერვისების დანერგვა და განვითარება წარმოადგენს, რაც ითვალისწინებს, არამარტო პროფესიული სტუდენტების დახმარებას, არამედ თემში მცხოვრები ადამიანების მხარდაჭერას, პროფესიული განათლების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდას, განათლების საფეხურზე ტრანზიციის გამარტივების ხელშეწყობას;
- არაფორმალური განათლების კურსები - პროფესიული უნარების სააგენტომ აზიის განვითარების ბანკისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით დაიწყო მუშაობა არაფორმალური განათლების კურსების შემუშავებაზე, რომელიც მეტწილად გათვლილია თემში მცხოვრები ახალგაზრდების ჩართულობის უზრუნველსაწყოფად;

- საჯარო სკოლებში პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა - პროგრამა 2017 წლიდან ფუნქციონებს და მასში საქართველოს ყველა რეგიონის 700-ზე მეტი საჯარო სკოლაა ჩართული. პროგრამის ფარგლებში არსებული საორიენტაციო (მე-8, მე-9 კლასის მოსწავლეებისთვის) და სასერტიფიკატო (მე-10, მე-11 და მე-12 კლასის მოსწავლეებისთვის) კურსების მიზანია, დაეხმაროს სკოლის მოსწავლეებს გააზრებული და ინფორმირებული პროფესიული/კარიერული გადაწყვეტილების მიღებაში;
- ფსიქოსოციალური სერვისები - საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, განათლებისა და დასაქმების მიღმა მყოფი ახალაგზრდები მნიშვნელოვანი ბარიერის წინაშე არიან და საჭიროებენ დამატებით ფსიქოლოგიურ, სოციალურ თუ ეკონომიკურ დახმარებას.

აქვე გაცნობებთ, რომ უფლება გაქვთ, მიმართოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტაციული კოდექსის 47-ე მუხლით დადგენილ რეგულაციებს.

პატივისცემით,
საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე
პასუხისმგებელი საჯარო მოხელე

ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) საქმისწარმოების
სამმართველოს უფროსის ფუნქციათა
შემსრულებელი
ნათია ლომთაძე